

ა.ა.ი.პ „საქართველოს რაგბის კავშირი“-ს
სადისციპლინო კომისიის სხდომის ოქმი № 29

ქ.თბილისი

2020 წლის 12 თებერვალი

სადისციპლინო კომისიის სხდომა ჩატარდა 2020 წლის 12 თებერვალს, ა.ა.ი.პ. „საქართველოს რაგბის კავშირი“-ს ოფისში.

სადისციპლინო კომისიის სხდომა მოწვეულ იქნა კომისიის თავმჯდომარის დავალებით, სადისციპლინო კომისიის წევრებისთვის შეტყობინებისა და დღის წესრიგის გაგზავნის გზით.

სხდომას ესწრებოდა კომისიის 6 წევრი. სრკ-ს სადისციპლინო კოდექსის მე-5 მუხლის 5.11. პუნქტის თანახმად, სხდომა გამოცხადდა გადაწყვეტილებათუნიანად, ამის გამო არცერთ დამსწრე წევრს პრეტენზია არ გამოუთქვამს.

სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრები: მირიან თავზარაშვილი, ლაშა მაჭავარიანი, ლევან ჩიკვაძე, აკაკი კერესელიძე, ირაკლი ჩიქავა, ედუარდ ნაჭყებია.

სხდომას უძღვებოდა კომისიის თავმჯდომარე, მირიან თავზარაშვილი.

სადისციპლინო კომისიამ ზემოაღნიშნული შემადგენლობით, განიხილა სრკ-ს საშეჯიბრო კომიტეტის მეთვალყურეთა თავმჯდომარის ზ. ბაკურაძის მომართვა, მატჩის მეთვალყურის გ.ჩიხლაძის ოქმი და მატჩის მთავარი მსაჯის ლ. ბიბიჩაძის მიერ მოწოდებული ინფორმაცია, ამა წლის 7 თებერვალს, რეგიონულ ლიგაში, ვანის. „აიეტი“-სა და ქედას „ფირალები“-ს შორის მატჩის დროს მომხდარი ფაქტის შესახებ.

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:

ვანის „აიეტი“-ს მორაგბე კახი ჭიჭუეიშვილი და ქედას „ფირალები“-ს მორაგბე ზვიდ ფუტკარაძე გაძევებულ იქნენ მოედნიდან წითელი ბარათებით მსაჯის მიერ.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

სრკ-ს საშეჯიბრო დებულების მე-5 მუხლის 29¹ პუნქტის გათვალისწინებით, რომლის თანახმად წითელი ბარათის მიმღები მოთმაშე ავტომატურად ტოვებს 1 (ერთი) სათამაშო კვირას, სრკ-ს სადისციპლინო კომისიამ ვანის „აიეტი“-ს მორაგბეს კ. ჭიჭუეიშვილს და ქედას „ფირალების“ მორაგბე ზ. ფუტკარაძეს არ დააკისრა სრკ-ს სადისციპლინო კოდექსით გათვალისწინებული სხვა რაიმე დამატებითი სასჯელი.

სრკ სადისციპლინო კომისიის თავმჯდომარე



/მ.თავზარაშვილი/